

2016 წლის 1 ოქტომბერი

ავსტრიული ყოველდღიური გაზეთი „Kurier“

თბილისი ნატო-ში გაწევრიანებაზე დაპირების შესრულებას ითხოვს

ინტერვიუ: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ხედვით, ალიანსის წევრობის დრო დადგა

KURIER: ნატო დღეს უჩვეულოდ სუსტად არის წარმოჩენილი, ვიდრე ოდესმე. კონკრეტულად რა ამომრავებს საქართველოს ნატო-ს მიმართულებით?

დავით ბაქრაძე: ამ შეკითხვას რამდენიმე განზომილება აქვს. გასულ წლებში ნატო-მ დამტკიცა თავისი სიმტკიცე, როცა საქმე ახალ საფრთხეს ეხებოდა. გარდა ამისა ნატო-ს ინსტრუმენტები არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი წევრებით. მან აჩვენა, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნებიც შეიძლება ჩართულნი იყვნენ პროცესებში. ანუ, იმის საპირისპიროდ რაც თქვენ აღნიშნეთ, ალიანსმა აჩვენა, რომ ის ახალი საშიშროების წინაშე ძალიან მოქნილია. ხოლო თუ რატომ ავიღეთ ზოგადად დასავლური კურსი: ჩვენ გვაქვს ისტორია, რომელიც ევროპული ისტორიის ნაწილია და ჩვენ ვაშენებთ ევროპულ სახელმწიფოს ამ ისტორიაზე დაყრდნობით.

რაც შეეხება ევროკავშირს. ამ მიმართულებით ნამდვილად არსებობს წინგადადგმული ნაბიჯები, ხოლო რაც შეეხება ნატო-ს, წლებია საუბრები მიდის MAP -ის მიღებაზე, მაგრამ ეს აქამდე არ მომხდარა. სად ხედავთ წინგადადგმულ ნაბიჯებს?

ვფიქრობ ეს ნათელია (ხელისგულზე დევს). ვარშავაში ძალიან გარკვევით ითქვა, რომ საქართველოს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი ხელთ აქვს, რათა მოემზადოს წევრობისთვის. მაპ-ი ყველა სხვა წევრის საშუალება გახლდათ. ჩვენს შემთხვევაში, ნატო-მ ღიად განაცხადა, რომ ჩვენ ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას ვფლობთ. მაპ-ი არის გადაწყვეტილების პოლიტიკური ნაწილი. ჩვენი მიზანია ნატო-ს წევრობა. ჩვენ ვიყენებთ ყველა გზას, რათა ჩვენი შესაძლებლობები გავაფართოვოთ დემოკრატიის გაძლიერების, ბიუროკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის და თავდაცვის მიმართულებებით.

და რა მოხდება თუ ნატო უბრალოდ არას იტყვის? არსებული საერთაშორისო რყევების გათვალისწინებით ეს არ არის გამორიცხული.

ნატო-მ უკვე თანხმობა განაცხადა. 2008 წელს ნატო-მ გარანტია მოგვცა (დაგვარწმუნა) რომ საქართველო წევრი გახდება და ეს სხვა სამიტების დროსაც დადასტურდა. ვფიქრობ, ჩვენ ეხლა მივალწიეთ იმ ადგილს, როდესაც წევრმა-ქვეყნებმა საქართველოს წევრობასთან დაკავშირებით კონსენსუსს უნდა მიაღწიონ. ის რისი გაკეთება შეგვიძლია, არის ალიანსის წევრების ინტერესის გაზრდა საქართველოს მიმართ: ჩვენი ადგილმდებარეობით, ჩვენი სამაგალითო ტრანსფორმაციით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ენერჯის

ალტერნატიული გზების შეთავაზება შეგვიძლია და როგორც სავაჭრო ჰაზი. დღეს ჩვენ რეგიონში ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელსაც თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ შეთანხმება აქვს ევროკავშირთან და EFTA-სთან, დსთ-ს ქვეყნებთან, თურქეთთან. დასრულების პროცესშია ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება.

ისე ჩანს თითქოს, ნატო-სთან დაახლოების პროცესში საქართველოს უფრო მაღალი ტემპი აქვს აღებული, ვიდრე თავად ალიანსს, თქვენც ასე ხედავთ?

მე ვხედავ, რომ ნატო-ში პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად ყველა წევრი-სახელმწიფოს კონსენსუსია საჭირო. ეს არის ნატო-ს სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ ჩვენ იმედგაცრუებისთვის არც ფუფუნება გვაქვს და არც დრო. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ შეგვიძლია ნატო-ს და აგრეთვე ევროკავშირის წევრები გავხდეთ. მაგრამ იმისთვის, რომ ევროპაში „მოვიდეთ“, აუცილებელია ევროპა საქართველოში „მოვიტანოთ“.

ნატო და ევროკავშირი მთელი რიგი კრიზისების წინაშე დგანან. მე ვფიქრობ, რომ თქვენთვის, როგორც მინისტრისთვის მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ქვეყანა პრიორიტეტულად აქციოთ. გაქვთ, თუ არა იმის შეგრძნება, ნატო-სა და ევროკავშირთან საუბრებისას, რომ მათთვის ამჟამად პრიორიტეტს წარმოადგენთ?

ივნისის შუა რიცხვებში, ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ ევროკავშირისთვის გლობალური სტრატეგია გამოაქვეყნა. ევროკავშირის 16 მეზობელი სახელმწიფოს შესახებ დისკუსიისას, მხოლოდ საქართველო, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანა სამაგალითოდ მოიხსენიება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველო გლობალურ კონტექსტში, სულ უფრო პოზიტიურად აღიქმება. რეგიონი სავსეა რყევებითა და გამოწვევებით. ჩვენ დავადასტურებთ, რომ შეგვიძლია წინ აღვუდგეთ ამ ტენდენციებს, რომ ჩვენ წინსვლაზე ორიენტირებულები ვართ. ევროკავშირის, ნატო-ს, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან გვაქვს პოზიტიური გამოხმაურება (Feedback). ეს ჩვენთვის იმედის მომცემია.